ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 აპრილი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 83 (1954) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დღეს თბილისში ჩატარდება საქართველოს სსრ მასწავლებელთა VI ყრილობა

მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენელთა გამოსვლებს მუდამ დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს სპორტის ამ სახეობის მოყვარულები და გულშემატკივრები. დღეიდან მათ კვლავ ეძლევათ შესაძლებლობა თბილისის სპორტის სასახლეში იხილონ საბჭოთა და უცხოელი საუკეთესო ტანმოვარჯიშეების ოსტატობა. ეს საერთაშორისო შეჯიბრება ტარდება ჟურნალ „საქართველოს ქალის“ პრიზზე.



მსოფლიო თასის გათამაშება წყალში ხტომაში

# ჩოგოვაძე — მეორე ადგილზე



ჰოლანდიის ქალაქ ამერსფორტიდან, სადაც წყალში მხტომელები მსოფლიოს თასისთვის იბრძოდნენ, მოუთმენლად ველოდით ინფორმაციას. შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისელი გიორგი ჩოგოვაძეც, ვისზეც დიდ იმედს ვამყარებდით. ამის უფლებას ჩოგოვაძის წლევანდელი წარმატებები გვაძლევდა. განთქმულმა სპორტსმენმა ხომ სპორტული სეზონის დაწყებისთანავე ზედიზედ მოიპოვა წარმატება. ჯერ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში დაიკავა მეორე ადგილი, მერე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში ოქროს მედალი მოიპოვა. ჩემპიონატს დიდი საერთაშორისო ტურნირი („გაზაფხულის მერცხლები“) მოჰყვა და გიორგიმ აქაც ყველას აჯობა. ამიტომაც ანდეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტს მსოფლიო თასის გათამაშებაზე ჩვენი ქვეყნის წყალში მხტომელთა ნაკრების ღირსების დაცვა.

და აი, ამერსფორტედანაც სასიხარულო ცნობა მივიღეთ. თბილისელმა სპორტსმენმა, რომელსაც შეჯიბრების დღეებში 18 წელი შეუსრულდა, 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში მეორე ადგილი დაიკავა.

ამ შეჯიბრებაზე გუნდურ პირველობაში უძლიერესი იყო აშშ-ის ნაკრები (374 ქულა), მეორე ადგილი დაიკავა ჩინეთის გუნდმა (372), მესამე — საბჭოთა ნაკრებმა (361).

გუნდური პირველობის შედეგების მიხედვით ყველა სახეობაში შერჩეულმა 12-12-მა უძლიერესმა სპორტსმენმა, პირად პირველობაში სცადა ძალა. აქ სპორტსმენები ოლიმპიური სისტემით შეეჯიბრნენ ერთმანეთს. დამარცხებული ბრძოლას ეთიშებოდა. ჩოგოვაძემ ფინალამდე გაიკაფა გზა და მხოლოდ აქ დამარცხდა ჩინელ ტუნ ხუეიუსთან.

ამ სახეობაში ქალთა შორის უძლიერესი იყო ასევე ჩინელი სპორტსმენი სიუი იანმეი.

დანარჩენ პრიზიორთა შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, რადგან საკავშირო პრესამიც კი, რომელიც ძირითადად საკდესის მასალებს ეყრდნობა, ბევრი შეუსაბამობაა. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობის მიხედვით ჩოგოვაძემ მეოთხე ადგილი დაიკავა, კოშკიდან ხტომის (ქალები) შედეგებში მეორე და მესამე პრიზიორების ვინაობაც არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ეს ინფორმაციები ჯერ კიდევ გუნდური შეჯიბრების დამთავრებამდე გამოჩნდა, ე. ი. იმ დროს, როცა პრიზიორთა ვინაობა ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული.

გუშინ საქართველოს სპორტსახკომში მოეწყო სპორტსახკომის ხელმძღვანელობის შეხვედრა საქართველოს სსრ მასწავლებელთა VI ყრილობის დელეგატთა ერთ ჯგუფთან. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკოლა ის ძირითადი რგოლია, სადაც მოსწავლე ცოდნასაც იძენს და ფიზიკური კულტურის უნარ-ჩვევებსაც ეუფლება. აქ ვლინდება ქართული სპორტის რეზერვი. ისაუბრეს, აგრეთვე, იმ პრობლემებზე, რომელიც უნდა გადაჭრას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ. სპორტსახკომის ხელმძღვანელებმა უპასუხეს შეკითხვებზე.

# წარმატება, რომელსაც ველოდით

საფრანგეთის ქალაქ იერში გამართულ მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირში ბევრი ცნობილი მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ შორის ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი, დასავლეთგერმანელი გიზელა ფიშდიკი, ჰოლანდიელი ჰელენ დე გრეეფი... ქართველი დიდოსტატები თავიდანვე დაწინაურდნენ და შეჯიბრებაც „სხვებზე ადრე დაამთავრეს“: ნონა გაფრინდაშვილმა I ადგილი დაიკავა, ნანა იოსელიანმა — მეორე. დაწვრილებით ამ ტურნირის შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში მოგითხრობთ.

როგორ ვიყენებთ სპორტული ბაზების შესაძლებლობებს მოსახლეობას შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის გააქტიურებისათვის? ამ კითხვაზე კონკრეტული საქმით გასცა პასუხი თბილისის ცენტრალური ველოდრომის გამაჯანსაღებელმა ცენტრმა. გასულ კვირას აქ მოეწყო „ღია კარის დღე“ — ველოსპორტის მოყვარულებს უსასყიდლოდ დაუთმეს ინვენტარი, ზოგმა ისეირნა, ზოგმა კი შეჯიბრებაშიც მიიღო მონაწილეობა. ცალკე ღონისძიებები მოეწყო ოჯახებისთვის.



ანონსი

როგორც ვიუწყებოდით, თბილისში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა სსრ კავშირის თასის გათამაშების ზონალური ტურნირი. ამ ტურნირში საქართველოს გუნდმა კვლავ უხეიროდ იასპარეზა. შეკითხვებს, რომელიც გულშემატკივრებს აინტერესებს, „ლელოს“ ხვალინდელ ნომერში უპასუხებს გუნდის უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გივი ახვლედიანი.

ჭაბუკ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი

# ლაურეატები

ჭაბუკთა თბილისის მეოთხე საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (იტფ) ეგიდით ტარდება, საბჭოთა ოსტატების გამარჯვებით დამთავრდა. „დინამოს“ კორტებზე ერთკვირიანმა ბრძოლამ მასპინძლებს წარმატება მოუტანა, როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში.

ჯერ იყო და ანდრეი ჩერკასოვმა და დათო კაჭარავამ წყვილთა ფინალში გაიმარჯვეს (ჩეხოსლოვაკიელ მარეკ მიშკოლცთან და ტომაშ ზდრაჟილასთან — 7:5, 6:4), მერე ჩვენმა გოგონათა წყვილმა ელენა კისლუხამ (დონეცკი) და ტესა კრილოვამ (ლვოვი) დამაჯერებელი ანგარიშით მოუგო ბულგარელებს (6:2, 6:4) გალია ანგელოვას და პლამენა გოგოვსკას.

იხ. მე-4 გვ.

სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის ჩემპიონატი

# უდავო წინსვლის მიუხედავად



თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 25 აპრილი.

სსრ კავშირი — რუმინეთი 12:13 (6:7).

სსრ კავშირი: ძაგნიძე; ვოროპაევი, ნეჩაევი, ანდრეევი, მირონოვი, სლიუსარი, ჰეიშვილი (ფრანცუზოვი, 59); სამარდინი, მუხა, კირპა, ჟურავლიოვი, სტელმახოვიჩი, ხაირულინი, ტიხონოვი, სოკოლოვი.

რუმინეთი: იონი; მარინი, ლუნგუ, ტოფანი, ტოადერი (დავიდი, 67); ალექსანდრუ, პარასკივი; ბუკანი, გრიგორე, ლეონტე, დუმიტრუ, კონსტანტინი, დუმიტრაში, რედუკანუ, მურარიუ.

მსაჯები: ივ ბრესი (საფრანგეთი); პაულ სუარე (რუმინეთი), ზურაბ რეხვიაშვილი (სსრ კავშირი).

გოლები. სსრ კავშირი: 4 საჯარიმო (მირონოვი, 15; ძაგნიძე, 38, 54, 71). რუმინეთი: 1 დამიწება (მარინი — 38); 2 საჯარიმო (27, 61) და არეკნი (88) — ალექსანდრუ.

რუმინელები წარმატების შემთხვევაში მესამე ადგილს დაიკავებდნენ, საბჭოთა რეგბისტებს კი ეს მატჩი რომც წაეგოთ, აუტსაიდერებთან დარჩენილ ორ შეხვედრაში შეეძლოთ მდგომარეობის გამოსწორება. როგორც ჩანს, ჩვენმა მოთამაშეებმა გული ამით დაიმშვიდეს, რისთვისაც მკაცრად დაისაჯნენ: წააგეს მეტოქესთან, ვისაც ახლა, მსოფლიო თასის გათამაშების წინ, ყოველი გამარჯვება ჰაერივით სჭირდება ხანგრძლივი კრიზისის შედეგად დაკარგული რწმენის აღსადგენად.

მაგრამ რუმინელთა წარმატება მხოლოდ საბრძოლო განწყობით როდი აიხსნება. მატჩმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა რეგბის უდავო წინსვლის მიუხედავად, რუმინელებს თამაშის კულტურით ჩამოვრჩებით.

იხ. მე-4 გვ.



რესპუბლიკის სპორტსახკომის წყალთა სახეობების განყოფილებამ თბილისის პირველი მაისის რაიონის საკოლმეურნეოთაშორისო საცურაო აუზზე სპეციალური ჯგუფი გახსნა ამავე მიკრორაიონში მდებარე ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში (იხ. მე-2 გვ) გთავაზობთ წერილს აუზზე ამ ჯგუფის მეცადინეობის შესახებ.



## ხარვეზებზე — საჯაროდ!

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში საუბარი წამოვიწყეთ სასკოლო ფიზკულტურისა და ბავშვთა სპორტის პრობლემებზე. დღეს ვაგრძელებთ ამ საუბარს. რედაქციის შეკითხვებს უპასუხებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსი **მურთაზ მნათობიშვილი.**

● **როგორც ცნობილია, დიდი სპორტი ბავშვთა სპორტით სულდგმულობს. ამიტომ პასუხისმგებლობა ყველა რგოლში ერთიხრად უნდა გაიზარდოს, როგორ ფიქრობთ, საჭიროებს თუ არა სრულყოფას რეზერვის მომზადების ახლანდელი სისტემა და თუ საჭიროებს, რა ცვლილებებია მოსალოდნელი?**

— ყველა რესპუბლიკას, მათ შორის ჩვენც, სურს სპორტში პირველი იყოს. ეს ბუნებრივი სურვილია, მაგრამ, რა დაგიმალოთ და, ძნელად გასახორციელებელი. ნებისმიერი წარმატება სპორტში იმაზეა დამოკიდებული, როგორ ვიყენებთ არსებულ რეზერვს. ჩვენ ამ მხრივ ბევრი რამ გვაქვს მოსაგვარებელი. პირველ რიგში წესრიგი უნდა დამყარდეს სასპორტო სკოლებში, რათა მინიმუმამდე შევამციროთ ახალგაზრდობის დენადობა. თორემ რა გამოდის? ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა სარბიელს გარეთ რჩება, სპორტსკოლები კი უმთავრესად წუნდებულ პროდუქციას უშვებენ.

ხშირია შემთხვევა, როცა სპორტული ჯგუფები შევსებას მწვრთნელ-სპეციალისტების მეგობარ-ნათესავთა წრიდან იღებენ. ყველა მშობელს სურს ბავშვი ცურვას, ჩოგბურთის, კალათბურთის ან ფეხბურთის თამაშს სწავლობდეს, რაც პირველ რიგში ჯანმრთელობას რგებს, მაგრამ ბაზების სიმცირის გამო ხშირად ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვები სპორტული ჯგუფების გარეშე რჩებიან. რაკი სიტყვამ მოიტანა, ერთ „საიდუმლოებას“ გაგანდობთ: რესპუბლიკის 2674 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან სპორტული ბაზა ან დარბაზი მხოლოდ 1315-ს აქვს.

საქართველოს განათლების სამინისტროს 147 სპორტულ სკოლაში სპორტის 38 სახეობაა დანერგილი. სექციებში სტატისტიკით რეგულარულად 64652 ბავშვი მეცადინეობს. მაგრამ თანამედროვე სპორტული ბაზა მხოლოდ ოთხ სკოლას აქვს, 49 სპორტულ სკოლას კი საერთოდ არავითარი ბაზა არ გააჩნია. და კიდევ ერთი დეტალი: თბილისში არსებული 26 სპორტული სკოლიდან (მათ შორის რვას ოლიმპიური რეზერვის სტატუსი აქვს მინიჭებული) მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ბაზა მხოლოდ 15 სკოლაში შეგიძლიათ ნახოთ. განა შეიძლება ამის შემხედვარემ საქმიანად ილაპარაკოს რეზერვებზე?

არადა, ჩემი ნება რომ იყოს, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ძველ შენობას და მიმდებარე ტერიტორიას ბავშვებს გადავცემდი. ადგილი — შესანიშნავია, სივრცე — დიდი. აქ ბევრი სპორტული სკოლა დაიდებდა ბინას. აღარ იქნებოდა საჭირო ბავშვის სკოლაში მოსაწყობად ნაცნობ-ნათესავების შეწუხება, საბონემენტო ჯგუფებიც გაიხსნებოდა, სუსტი ჯანმრთელობის ბავშვებისთვის კი სამედიცინო ჯგუფები შეიქმნებოდა. ერთი სიტყვით, ამით დიდი ეროვნული საქმე გაკეთდებოდა. მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ყოფილა ძნელი საქმე. სიტყვიერად თითქოს ყველა თანახმაა, ის შენობა კი ჯერჯერობით ისევ დაცარიელებული დგას.

თქვენ გვკითხეთ საჭიროებს თუ არა სრულყოფას რეზერვების მომზადების ახლანდელი სისტემაო, მეც გეუბნებით, თუ საქმე მოგვარდა, ბევრი რამ შეიცვლება, ცხადია, ბავშვთა სპორტის სასიკეთოდ.

● **თქვენი გულისტკივილი გასაგებია. მთლიანად გიჭერთ მხარს, მაგრამ ერთი რამ გვაინტერესებს: რაც გვაქვს, იმას როგორ ვუვლით და ვიყენებთ?**

— თუ სასკოლო აუზები გაქვთ მხედველობაში, ცუდად. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მშენებლებს ვუსაყვედურო. ზოგიერთი აუზი მშენებლობის პროცესში დაშვებული დეფექტების გამო არ ფუნქციონირებს და სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს, ზოგიც არასწორი ან ცუდი ექსპლოატაციის გამო. ასეთია თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის 169-ე, საბურთალოს რაიონის 162-ე, გლდანის რაიონის 181-ე, 26 კომისრის სახელობის რაიონის 105-ე, 157-ე, 163-ე, საქარხნო რაიონის 94-ე საშუალო სკოლების საცურაო აუზები. არ იქნა და არ დაადგა საშველი ცხაკაიას რაიონში ცურვის სკოლის აუზის მშენებლობას. ერთი სიტყვით, ვერც არსებულ ბაზებს ვუვლით და ვიყენებთ. ამას იმ დირექტორებისა და ალმასკომების თავმჯდომარეების გასაგონად ვამბობთ, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფება ეს მწყობრიდან გამოსული ობიექტები.

● **რამდენადაც ვიცით, თბილისის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატშიც მძიმე მდგომარეობაა შექმნილი.**

— მძიმეო? ეს ის სიტყვა არ არის. ამ სკოლა-ინტერნატის მატერიალური ბაზა, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ბოლო ადგილზეა. არსებობს რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილება, რომელიც სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებს ავალებდა სკოლა-ინტერნატისთვის ფეხბურთის მოედნების (მშენებლობის სამინისტრო), საჭიდაო დარბაზის (სოფლმრეწვი), ძალოსნობის დარბაზის (ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი) და სხვა ძირითადი თუ დამხმარე ნაგებობების მშენებლობას. მაგრამ რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების შესრულება აღნიშნულ ორგანიზაციებს დაავიწყდათ.

ამავე გადაწყვეტილების თანახმად, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დავალებული ჰქონდა სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატისთვის მიმდებარე ტერიტორიაზე 1,5, თბილისის ზღვაზე კი 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთის გამოყოფა სპორტული მოედნისა და ნავების შესანახი ელინგის მოსაწყობად. სამწუხაროდ, აქაც მტკიცე უარი გვითხრეს.

ავდექით და გლდანის ტბის მიდამოებში მოვითხოვეთ მიწის ნაკვეთის გამოყოფა. უშუალოდ ქალაქის მთავარ არქიტექტორს შოთა ყავლაშვილს მივმართეთ. პასუხს არ დაუგვიანებია, მაგრამ ჩვენ არ გავუხარებივართ. თავაზიანად აგვიხსნეს, გლდანის ტბის ტერიტორიაზე ტყე-პარკის მშენებლობა ყოფილა გათვალისწინებული და ამიტომ სპორტული ნაგებობის მოწყობა მიზანშეწონილი არ იქნებაო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რალა დაგიმალოთ და, მიკვირს, ვითომ ხელს შეუშლიდნენ ერთმანეთს ტყე-პარკი და კულტურულ-სპორტული კომპლექსი? ხელახალ თხოვნაზე კვლავ უარი მივიღეთ.

არადა, როგორც გაირკვა, ამ ტბაზე საქსოფლთევზმრეწვის კომიტეტს (თავმჯდომარე ამირან ცინცაძე) თევზის მოშენება დაუწყია. დავუკავშირდით ცინცაძეს და ავუხსენით, რომ სხვა რესპუბლიკებში, სადაც ნიჩბოსნობას მისდევენ, მეთევზეები და სპორტსმენები უკონფლიქტოდ თანაარსებობენ. მაინც უარი გვტკიცეს: თევზებმა საკვების მიღების შემდეგ უნდა დაისვენონ, ნავების სრიალი კი მათ მყუდროებას დაურღვევს, დააფრთხობს და წონაში ვერ მოიმატებენო.

ავდექით და საქმეში საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტი ჩავრიეთ. საბოლოოდ კი საქაგრომრეწვს მივმართეთ თხოვნით. ისევ უარი. ამასობაში ინტერნატის მოსწავლე სპორტსმენთა დახმარებით აშენებულ ელინგს მეთევზეებმა ბულდოზერით გადაუარეს. დარჩნენ ინტერნატის ნიჩბოსნები ტბის მოტიტვლებულ ნაპირზე ეულად თავიანთი ნაშრომის დანგრევით განაწყენებულნი და შეურაცხყოფილნი.

ერთი სიტყვით, სპორტული სკოლები და სპორტული ტიპის სკოლა-ინტერნატები დახმარებასა და თანადგომას საჭიროებენ. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი დაწესებულება სერიოზულ ყურადღებას იჩენს მათ მიმართ. ასე მაგალითად, საქართველოს მთავარ სპეცმონტაჟის კოლექტივმა (ხელმძღვანელი გივი გამყრელიძე) ინტერნატში შეფობის წესით 300 ათასი მანეთის ღირებულების სამუშაოები ჩაატარა და სხვა საჩუქარსაც უმზადებს აქაურ სპორტსმენებს. ასეთი ორგანიზაცია და ხელმძღვანელი გულწრფელ მადლობას იმსახურებს.

● **ბავშვთა სპორტის აღმავლობაში დიდ როლს ასრულებს საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები. რა მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკაში?**

— სპორტული სკოლების მოსწავლეები ზაფხულის პერიოდში სასწავლო-საწვრთნელ პროცესს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში უნდა აგრძელებდნენ. უნდა აგრძელებდნენ, მაგრამ... მოსწავლეთა 6-7 პროცენტი თუ ახერხებს ასეთ ბანაკებში გასვლას.

ბანაკები უმთავრესად სკოლა-ინტერნატების შენობებში ეწყობოდა, თანაც იმ დროს, როცა იქ კაპიტალური რემონტები უნდა ჩატარებულიყო. ამიტომ შეკრებებიც უხარისხო გამოდიოდა. ეს ბაზები თანდათან გამოვიდნენ მწყობრიდან. ზოგჯერ ინტერნატების დირექციები გამოსავალს იმაში პოულობდნენ, რომ შეკეთებისათვის საჭირო დეფიციტურ მასალას სხვა რესპუბლიკებში შოულობდნენ. სამაგიეროდ ზაფხულის პერიოდში უცხო სტუმრების კონტინგენტი იზრდებოდა. ჩვენს ბავშვებს ამ დროს სხვადასხვა ბანაკებში ვანაწილებდით. ეს საქმე ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოწესრიგდეს. რესპუბლიკის საკურორტო რაიონებში სტაციონალური სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების აშენებაა საჭირო.

სპორტი შესამჩნევად გაახალგაზრდავდა, სპორტული შედეგებიც ადამიანის შესაძლებლობების ზღვარს მიუახლოვდა. ამიტომ სპორტი მეცნიერების დახმარებას საჭიროებს, მაგრამ დიდი სპორტი პირველ რიგში ბავშვთა გაჯანსაღებისა და ჯანმრთელობის სამსახურში უნდა იდგეს. ამიტომ დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად სწორად იკვებება მოსწავლე სპორტსმენი, არის თუ არა მისი რაციონი სასარგებლო და მაღალკალორიული. რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს უნდა შევახსენოთ, რომ იმ ობიექტებმა, რომლებიც სპორტსმენებს ემსახურებიან, ძირეულად უნდა გარდაქმნან მუშაობა. დრო დადგა ვიფიქროთ რესპუბლიკაში „სასპორტო კვების“ ორგანიზაციის საკითხებზე.

● **წლეულს პირველად ტარდება სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები. ადრე მოსწავლეთა სპორტის მიღწევებს საკავშირო სპარტაკიადები აჯამებდნენ, ახლა კი მთავარი შემფასებ[ელი] ... ეს თამაშები ... ...ის სამინისტრომ და რესპუ[ბ]ლიკის სპორტსახკომმა ... ნიზაციო საქმიანობა ... ...უ და იმედია თამაშები მა[ღალ] დონეზე ჩატარდება. გვაინტერეს[ებს], რაში მდგომარეობს ამ ღონისძ[იე]ბის თავისებურება და რა შემ[თხვ]ევა აქვთ ამ თამაშებზე ჩვენი რესპუ[ბ]ლიკის გუნდებს?**

— პირველ რიგში იმაზე გიპას[უ]ხებთ, რატომ არ ტარდება წ[ლე]ულს მოსწავლეთა საკავშირ[ო] სპარტაკიადა. ამ ღონისძიების ო[რ]განიზატორი საბჭოთა კავშირის [გა]ნათლების სამინისტრო გახლდა[თ]. წლეულს ტარდება მასწავლებელ[თა] VI საკავშირო ყრილობა და ამი[ტო]მ ამ ღონისძიების მოწყობა სა[ბ]ჭოთა კავშირის სახელმწიფ[ო] სპორტკომიტეტმა ითავა. ამის გ[ა]მო შეიცვალა შეჯიბრების სისტ[ემა] და ფორმულა, გაახალგაზრდავ[და] მონაწილეთა ასაკიც და ღონისძი[ე]ბამაც ახალი სახელი მიიღო — სპორტული სკოლების მოსწავლე[თა] პირველი საკავშირო თამაშები. ფ[ი]ნალური შეჯიბრებები, იცით ალ[ბ]ათ, სპორტის 25 სახეობაში ჩ[ა]ტარდება და მათ ჩვენი რესპუბლ[ი]კა უმასპინძლებს.

● **ვინ და რა სისტემით მონ[აწ]ილეობს ამ თამაშებში?**

— ერთიანი ნაკრები გუნდ[ით] მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკა გამ[ოდის]ვა. სხვები თამაშებზე სპორტულ საზოგადოებების და უწყებებ[ის] გუნდებით წარსდგებიან. განათლე[ბ]ის სამინისტროს სისტემის 6 გ[უ]ნდში რუსეთის ფედერაციის, მ[ოს]კოვის, ლენინგრადის და უკრაინ[ის] ნაკრები კოლექტივები შევლე[ნ]. შესარჩევი შეჯიბრებების შემდე[გ] ორი ნაკრები გუნდი შეიქმნებ[ა]. სამხრეთის ზონაში გაერთიანდებ[ი]ან უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბ[ა]იჯანის, სომხეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის უ[ძ]ლიერესი სპორტსმენები, დასავლე[]თის ზონაში — ბელორუსიის, [მო]ლდავეთის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის წარმომადგენლები. ად[ვ]ილი წარმოსადგენია, როგორ[ი] მწვავე და უკომპრომისო ბრძოლ[ა] გაჩაღდება პირველი თამაშებ[ის] მთავარი ჯილდოებისთვის.

● **როგორ მიმდინარეობს სამ[ზა]დისი?**

— შეიძლება ითქვას, რომ მთა[] ვარი პრობლემები უკვე გადავჭ[ე]რით. ახლა სამზადისი ორი მიმარ[] თულებით წარმოებს: საქართველო[ს] განათლების სამინისტროში შექმ[]ნილ შტაბს მინისტრის მოადგილ[ე] გივი თალაკვაძე ხელმძღვანელობ[ს]. თამაშების საორგანიზაციო შტაბ[ი] შექმნილია საქართველოს სახელმ[]წიფო სპორტკომიტეტშიც. მას თავ[]მჯდომარის მოადგილე ვაჟა შენ[გე]ლაძე მეთაურობს. შტაბის სხდომა[]ზე რამდენიმეჯერ მოვისმინეთ სა[]კითხები ნაკრები გუნდების მზა[]დების შესახებ. ინფორმაციებით[] გუნდის უფროსები და უფროსი მწვრთნელები გამოვიდნენ. ხშირა[დ] პირადად ვხვდებით ნაკრები გუნდე[]ბის წევრებს, მათ სკოლის მასწავ[ლე]ლებლებს, დირექტორებს. ჩვენ[ი] საუბარი საინტერესო და საქმიანი[ა].

● **კიდევ ხომ არ გაქვთ რამე სათქმელი?**

— სიტყვა ისედაც გამიგრძელდა. ლაპარაკს საქმის გაკეთება სჯობს. შედეგებზე კი თამაშების დამთავ[]რების შემდეგ ვისაუბრებთ.

**დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 82.**

# გარდაქმნა კი იგვიანებს

---

# გაიხარეს პატარებმა



— **გიორგი** მჭედლიძეს გადაუღეთ რა, სურათი! დღეს გიორგის დაბადების დღეა! — ყელგამოწვდილი მემუდარებიან ბავშვთა სახლის აღსაზრდელები. აბა, უარს როგორ ვეტყვი და გიორგისა და მის მეგობრებს „საჭყუმპალაოში“ ჟივილხივილით რომ ჭყუმპალაობენ, კადრში ვათავსებ.

ბავშვთა სახლის აღსაზრდელების ცურვის სექციაში მოწვევა საქართველოს სპორტსახკომის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს. შარშან, წლის მიწურულს, თბილისის პირველ ბავშვთა სახლში (დირექტორი ნონა მაღრაძე) ცურვისთვის შერჩეული 8-10 წლის 24 გოგონა და ბიჭი შეარჩიეს. ბავშვებს სავარჯიშოდ შორს წასვლა როდი უხდებათ, იქვე, ორი ფეხის ნაბიჯზეა პირველი მაისის რაიონის განათლების განყოფილების სპორტული კომპლექსის საცურაო აუზი (დირექტორი ოთარ ურუშაძე). ცურვას მათ მწვრთნელი ნიკოლაი უმერენკო ასწავლის.

— მოგწონთ წყალში ჭყუმპალაობა? — ვეკითხები ბავშვებს.

— დიახ, მასწ!

— შეგვიძლია მთელი დღე ვიცუროთ! — ერთმანეთს არ აცლიან პატარები.

— მომავალში ვფიქრობთ ამ ბავშვებისგან საუკეთესოები შევარჩიოთ და პერსპექტიულები სპორტულ სკოლა-ინტერნატში სასწავლებლად გავგზავნოთ, — გვითხრა საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ცურვაში იგორ ბარსკიმ.

ვინ იცის, იქნებ ამ ბავშვთა შორის მომავალი დიდი მოცურავეა? ამიტომ მეც ყველას ვულებ სურათებს.

უნდა გენახათ მათი გაბრწყინებული თვალები, როცა ვუთხარი ეს სურათები „ლელოში“ დაიბეჭდებამეთქი.

— მეც მინდა გაზეთში, მეც გადამიღეთ!...

გამომშვიდობებისას პატარა ბიჭმა მკითხა, სურათებს კიდევ როდის გადაგვიღებთო.

— მაშინ, როცა კარგად იცურავებთ და დიდი სპორტსმენები გახდებით!

ბიჭი გაბრწყინებული თვალებით მიუბრუნდა თანატოლებს.



**ავთანდილ გურასაშვილი.**

**ავტორის ფოტოები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# ფედერაციის თასზე

**25 და 26 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის II ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.**

**ლანჩხუთის** „გურიამ" შაბათს თავის მინდორზე მიიღო ერევნის „არარატი". ამ საინტერესო მატჩის შესახებ ლანჩხუთიდან ტელეფონით შეგვატყობინა ლანჩხუთელმა ვეტერანმა ფეხბურთელმა **დანტეს ჯეჯელავამ.**

**ხველ, ატალახებულ მინდორზე თამაში საგრძნობლად გაძნელდა, საჭირო იყო დიდი აქტიურობისა და ენერგიის გამოვლენა ინიციატივის ხელში ასაღებად და მასპინძლებმა, უნდა ითქვას, დასაწყისიდანვე შეძლეს ამ ამოცანის შესრულება. მათ ტერიტორიულ უპირატესობას მიაღწიეს, უკვე მე-8 წუთზე ჩხაიძეს შეეძლო ერევნელთა კარის აღება, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.**

**ლანჩხუთელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხლუსი. იგი აქტიურად მონაწილეობდა კომბინაციებში და უშუალო ხიფათსაც უქმნიდა „არარატის" კარს. სწორედ მან შეძლო ბურთის გატანა 44-ე წუთზე, როცა დროზე აუღო ალღო მეგრელაძის გადაცემას და გახსნა ანგარიში.**

**მასპინძლებს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ თამაშის მეორე ნახევარშიც, ისინი ხშირად და ეფექტურად უტევდნენ, 65-ე წუთზე იმავე ხლუსმა მარჯვენა მაღალ კუთხეში გაგზავნა ბურთი, რომელიც მეკარე პოდშივალოვისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა — 2:0.**

**„გურიამ" ამ მატჩში საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.**

მასპინძელთა შემადგენლობა: ბერაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე (გილიკაშვილი), არზიანი, ხლუსი, ა. კაპანაძე, დანელია, ჩხაიძე (ტ. კაპანაძე), ფრიდონაშვილი (ჯიშკარიანი), მეგრელაძე.

მსაჯი ა. ასლანოვი (ტაშკენტი).

**კვირას თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ბაქოს „ნეფთჩი".**

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება საკავშირო ჩემპიონატის პარალელურად, შესვენებათა პერიოდში მიმდინარეობს. ზოგიერთი გუნდის ხელმძღვანელობა ამ შეჯიბრებას საერთო მზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევს და ძირითადი შემადგენლობის საბრძოლო მზადებისა და შეთამაშებისთვის იყენებს, მაგრამ მწვრთნელთა მეორე ნაწილი სხვა კუთხით უდგება ფედერაციის თასის მატჩებს, ცდილობს ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოსცადოს, პერსპექტიულთ გზა გაუკაფოს პირველი შემადგენლობისკენ.

ასე იყო ამ მატჩშიც. ბაქოელთა გუნდში უმთავრესად ძირითადი ფეხბურთელები გამოდიოდნენ (არ იყვნენ აჰმედოვი და პონომარიოვი), თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ კი ჩივაძის, სულაქველიძის, კეტაშვილის, ჰედიას, შენგელიას, კაკილაშვილის ნაცვლად ადგილი დაუთმო ახალგაზრდებს, რომელთაც მონდომებით, აქტიურად ითამაშეს, მაგრამ აშკარად შესამჩნევი იყო, რომ ზოგიერთი მათგანის საერთო



კლასი და ოსტატობის დონე ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ვეტერანთა გამოცდილებას.

დინამოელთა რიგებში უნარიანად, საკმაოდ კვალიფიციურად ითამაშა ცვეიბამ, რომელიც აშკარად გამოირჩეოდა დაცვის ხაზში, შუა რგოლში ყველაზე აქტიური იყო რევიშვილი, ბაქოელებს იგი უმეთვალყუროდ ჰყავდათ დატოვებული, რევიშვილმაც კარგად გამოიყენა ეს ვითარება და ძლიერად ჩაატარა მთელი მატჩი. ბაქოელთაგან გამოირჩეოდა კასუმოვი, რომელიც ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტებს გაბელიას კართან.

საერთო უპირატესობას დინამოელები ფლობდნენ, ტაიმის დასასრულს, 44-ე წუთზე ჩელებაძის გადაცემა კარგად გამოიყენა გურულმა და ახლო მანძილიდან გაიტანა ბურთი ჟიდკოვის კარში.

შესვენების შემდეგ ბაქოელებმა საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა, კვლავ აქტიურად იბრძოდა კასუმოვი, 57-ე წუთზე სწორედ მისი დარტყმა მოიგერია გაბელიამ, მაგრამ ჯავადოვმა ყველაზე ადრე მიუსწრო ბურთს და გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

გუნდების შემადგენლობანი: **„ДИНАМО"** — **გაბელია, ფირცხალავა, ცვეიბა, ხვანაძე, მალანია, რევიშვილი, აფციაური, ჟორდანია, ცაავა (ბიგვავა, გოგრიჭიანი), ჩელებაძე (ფანცულაია), გურული. „ნეფთჩი" — ჟიდკოვი (პერესკოკოვი), ფედოროვსკი, ბელიალოვი, მირზოევი, პანჩიკი, კასუმოვი, ჰუსეინოვი (ალაჰვერდიევი), ვახაბ-ზადე, ალეკბეროვი, პროკოპენკო, ჯავადოვი. მსაჯი ვ. ლისენკო (ოდესა).**

გაიმართა თასის სხვა მატჩებიც: ცსკა — „სპარტაკი" (მოსკოვი) 1:1, „ზენიტი" (ლენინგრადი) — „ქაირათი" (ალმა-ათა) 2:0, „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 2:2, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „დინამო" (მინსკი) 1:1, „შახტიორი" (დონეცკი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:2, „დინამო" (კიევი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 0:1.

2 მაისს განახლდება სსრ კავშირის საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატი. ამ დღეს თბილისის „დინამო" მინსკში შეხვდება ადგილობრივ თანაკლუბელთა გუნდს, ხოლო ლანჩხუთის „გურია" ვილნიუსში ითამაშებს „ჟალგირისთან".

ამავე დღეს ერთმანეთს შეხვდებიან „ქაირათი" — „ნეფთჩი", „ზენიტი" — „არარატი", „დინამო" (კიევი) — ცსკა, „სპარტაკი" — „დინამო" (მოსკოვი), „მეტალისტი" — „შახტიორი", „ტორპედო" — „დნეპრი".

## I ლიგა

**26 აპრილს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, VI ტურის მატჩები.**

**„ТОРПЕДО" (ქუთაისი) — „КУЗБАСИ" (კემეროვო) 1:0 (1:0)**

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი.

**„ТОРПЕДО"**: ტყებუჩავა, შამათავა, თევზაძე, პაპავა, წიქარიშვილი, შენგელია, ფრუიძე, მანაგაძე, ტყავაძე, გოგელიძე (ხუნდაძე, 61), ნარაბაძე.

**„КУЗБАСИ"**: კრიუკოვი, ხარიტონოვი (ხალოვი, 46), მიხნევიჩი, ფომიჩევი, რომანიუკი, პიმუშინი, სიჩკარუკი (ბოლოგოვი, 23), სოლოვიოვი, ანტონოვი, კოლჩინი, პიჟოვი (ზემლინი, 87).

მსაჯი ვ. ზვიაგინცევი (დონეცკი). გააფრთხილეს სოლოვიოვი.

ქუთაისის „ტორპედოს" მდგომარეობა ამ ტურისთვის ისეთი იყო, რომ გუნდს მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა ებრძოლა, სხვა გამოსავალი მას არ ჰქონდა. და, როგორც ამ მატჩში გამოვლინდა, კოლექტივის ხელმძღვანელობამ, თითოეულმა ფეხბურთელმა გააანალიზეს წინა შეცდომები, გამოძებნეს შინაგანი რეზერვები სასურველი შედეგის მისაღწევად.

ტორპედოელებმა კარგად ითამაშეს ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენელთან, ისინი 90 წუთის განმავლობაში აქტიურად მოქმედებდნენ, საფუძვლიანი ტერიტორიული უპირატესობაც დამაჯერებლად ეპყრათ ხელთ.

მასპინძლებს უკეთესი ანგარიშითაც შეეძლოთ გაემარჯვათ, ხოლო გოლი, რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა, დასაწყისშივე, მე-2 წუთზე გაიტანა შენგელიამ. მან მიიღო ფრუიძის გადაცემა და ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0.

ქუთაისელები შემდგომშიც ბევრს უტევდნენ, ხშირად უხდებოდა თამაშში ჩაბმა მეკარე კრიუკოვს, მანაგაძის დარტყმების შემდეგ ბურთი ორჯერ მოხვდა ძელს. 31-ე წუთზე „კუზბასის" მცველებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე უხეშად ითამაშეს შამათავას წინააღმდეგ, მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა, მეკარე კრიუკოვმა კი მოიგერია მანაგაძის დარტყმა.

„ტორპედომ" პირველი მატჩი მოიგო და პირველი ბურთი გაიტანა. ამან დადებითი ფსიქოლოგიური ზემოქმედება უნდა მოახდინოს ჩვენს ფეხბურთელებზე მომავალ შეხვედრებში.

**თამაზ ხარაბაძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

**„ДИНАМО" (ბათუმი) — „ЛОКОМОТИВИ" (მოსკოვი) 1:2 (0:2).**

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი.

**„ДИНАМО"**: კუცია, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, მაისურაძე (ბარათაშვილი, 40), შელია (უგრელიძე, 40), გორგილაძე, ვლასენკო.

**„ЛОКОМОТИВИ"**: შირიაევი, გოლოვნია, გორლუკოვიჩი, ბაზულევი, კალაიჩევი, კალაშნიკოვი, ატაულინი, აბრამზონი (ტაბუნოვი, 55), გავრილოვი (გორკოვი 64), კონიაევი, დოზმოროვი (ტერენინი, 89).

მსაჯი ვ. რაზდაევი (კემეროვო).

მატჩის პირველი ნახევარი „ლოკომოტივმა" მეტოქეზე აშკარად უფრო მობილიზებულად, ენერგიულად ჩაატარა. სტუმრები დასაწყისიდანვე უტევდნენ, ერთ-ერთი მათი იერიშის დროს ზუსტად ითამაშა გორლუკოვიჩმა და ანგარიშიც გახსნა. ლოკომოტიველები ამის შემდეგაც ხშირად უტევდნენ, ტაიმის დასასრულს გავრილოვ-კონიაევ-კალაშნიკოვის სწრაფი კომბინაცია ამ უკანასკნელის მიერ გატანილი მეორე გოლით დამთავრდა.

შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი მკვეთრად შეიცვალა, ბათუმელებმა საფუძვლიანად ხელთ აიღეს ინიციატივა, ისინი თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ მეტოქეს, მეკარე შირიაევი და მცველები ხშირად იმყოფებოდნენ აშკარა ხიფათის წინაშე. „ლოკომოტივმა" მეორე ტაიმის დასაწყისში გაუშვა ერთი საპასუხო ბურთი ბარათაშვილისგან, მაგრამ შემდგომში შეძლო დინამოელთა ყველა შეტევის მოგერიება. ბათუმელებს შესაძლებლობა ჰქონდათ თუნდაც ფრედ დაემთავრებინათ თამაში, მაგრამ რამდენიმე შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან და კვლავ დამარცხდნენ.

**ოთარ მურვანიძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „დაუგავა" (რიგა) 3:1, „დინამო" (სტავროპოლი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:0, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „პამირი" (დუშანბე) 2:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:0, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „გეოლოგი" (ტიუმენი) 0:1, „როტორი" (ვოლგოგრადი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:2, „კოლოსი" (ნიკოპოლი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 2:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 1:2.

საქართველოს გუნდები 30 აპრილს სტუმრად ჩაატარებენ VII ტურის მატჩებს. ქუთაისის „ტორპედო" ტაშკენტში შეხვდება „ფახთაქორს", ხოლო ბათუმის „დინამო" დუშანბეში „პამირს" ითამაშებს.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 28 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომორეცი" | 6 | 6 | 0 | 0 | 11-2 | 12 |
| „შინიკი" | 6 | 4 | 1 | 1 | 5-3 | 9 |
| „ლოკომოტივი" | 6 | 3 | 3 | 0 | 8-3 | 9 |
| „კოლოსი" | 7 | 4 | 0 | 3 | 9-6 | 8 |
| „კუზბასი" | 6 | 3 | 2 | 1 | 6-2 | 8 |
| „გეოლოგი" | 6 | 3 | 2 | 1 | 6-2 | 8 |
| „დაუგავა" | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| „კოტაიკი" | 6 | 3 | 1 | 2 | 9-9 | 7 |
| „კრ. სოვეტოვი" | 6 | 2 | 3 | 1 | 6-2 | 7 |
| „სპარტაკი" | 6 | 2 | 2 | 2 | 3-3 | 6 |
| „როსტსელმაში" | 5 | 2 | 1 | 2 | 8-5 | 5 |
| „მეტალურგი" | 6 | 2 | 1 | 3 | 8-9 | 5 |
| „ფახთაქორი" | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 5 |
| „პამირი" | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 5 |
| ას, „კარპატი" | 6 | 1 | 3 | 2 | 4-6 | 5 |
| „დინამო" სტ. | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 4 |
| „ზარია" | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 4 |
| „ტორპედო" ქ. | 6 | 1 | 2 | 3 | 1-7 | 4 |
| „დინამო" ბ. | 6 | 1 | 1 | 4 | 2-7 | 3 |
| „ფაკელი" | 6 | 0 | 3 | 3 | 2-6 | 3 |
| „როტორი" | 6 | 1 | 0 | 5 | 4-10 | 2 |
| ასკ რ. | 5 | 0 | 2 | 3 | 1-6 | 2 |

## II ლიგა

**25 და 26 აპრილს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების IV ტურის მატჩები.**

ჩვენი ფოთელი კორესპონდენტი **ამირან ლომაია** გვატყობინებს ადგილობრივი „კოლხეთისა" და რუსთავის „მეტალურგის" შეხვედრის შესახებ:

**— გადაუღებელი წვიმის შედეგად მინდორი ერთიანად დაიტბორა, ფეხბურთელებს დამატებითი სიძნელეები შეექმნათ. ფოთელმა ფეხბურთელებმა უფრო აქტიურად ჩაატარეს მატჩი და გამარჯვებასაც მიაღწიეს ანგარიშით 1:0. ეს გოლი 25-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა ჯაკობიამ.**

**სამწუხაროდ, ამ მატჩში არასასიამოვნო ინციდენტი მოხდა: იმ მომენტში, როცა „მეტალურგის" კარში ხოხუმელმა მსაჯმა გ. გაბესკირიამ პენალტი დანიშნა, რუსთაველმა ფეხბურთელებმა მას ერთობ აქტიურად „შეუტიეს", არბიტრი იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა ავაქიანი. გარდა ამისა, უვითელი ბარათები დაიმსახურეს „მეტალურგის" ფეხბურთელებმა ხკრობამ და ხანიკიძემ. ისიც აღსანიშნავია, რომ უკვე მას შემდეგ, რაც „მეტალურგი" 10 კაცის შემადგენლობით დარჩა მინდორზე, აღარც ერთ ფეხბურთელს აღარ დაურღვევია წესრიგი. ცხადია, გაკიცხვის ღირსია ავაქიანი, რომლის უდისციპლინობის შედეგად მეტალურგებს შესუსტებული ძალებით მოუხდათ თამაში.**

ტურის სხვა შედეგები: „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „დილა" (გორი) 1:1, „დინამო" (სოხუმი) — „ლორი" (კიროვაკანი) 3:0, „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 1:2, „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 2:1, „გოიაზანი" (ყაზახი) — „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) 1:0, „ოლიმპია" (ლენინაკანი) — „ვოსხოდი" (სუმგაითი) 1:0.

უამინდობის გამო არ შედგა ტყიბულის „მეშახტისა" და თბილისის „შევარდენი"-სპი-ს შეხვედრა.

**II ლიგა, IX ზონა**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 28 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" | 4 | 3 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| „ქიაფაზი" | 4 | 3 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| „კოლხეთი" | 4 | 2 | 2 | 0 | 5-3 | 6 |
| „ვოსხოდი" | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 5 |
| „ყარაბახი" | 4 | 2 | 0 | 2 | 8-3 | 4 |
| „ოლიმპია" | 4 | 2 | 0 | 2 | 4-5 | 4 |
| „დილა" | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 4 |
| „კოლხოზჩი" | 4 | 1 | 1 | 2 | 6-5 | 3 |
| „შევარ." სპი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 3 |
| „დინამო" | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 3 |
| „ავტომობილისტი" | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 3 |
| „მეტალურგი" | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 3 |
| „გოიაზანი" | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 3 |
| „სპარტაკი" | 4 | 1 | 1 | 2 | 4-9 | 3 |
| „ლორი" | 4 | 1 | 0 | 3 | 1-5 | 2 |
| „მეშახტე" | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

## საქართველოს პირველობა

**განვლილ შაბათ-კვირას შედგა რესპუბლიკის I ჯგუფის საფეხბურთო ჩემპიონატის IX ტურის მატჩები.**

„სულორი" (ვანი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:0, „არმაზი" (მცხეთა) — „დინამო" (ზუგდიდი) 0:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)— „დურუჯი" (ყვარელი) 2:0, „ეგრისი" (ცხაკაია) — „მადნეული" (წყალტუბო) 1:0, „ამირანი" (ოჩამჩირე) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:1, „ქართლი" (გორის რ-ნი) — „იბერია" (ხაშური) 2:0, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 1:2, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „კახეთი" (თელავი) 2:1, „დინამო" (გაგრა) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:1, „კოლხეთი" (ხობი) — „მადნეული" (ბოლნისი) 2:0, „იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი) — „სქური" (წალენჯიხა) 4:1, „იმერეთი" (ქუთაისი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:1.

## პასარელა დაჯარიმდა

მილანის „ინტერმა" ფულადი ჯარიმის გადახდა მიუსაჯა თავის ფეხბურთელს, არგენტინის ნაკრების ყოფილ კაპიტანს პასარელას. საქმე ის არის, რომ ერთ-ერთი მატჩის დროს პასარელამ ჩხუბი დაუწყო ბურთის მიმტან ბიჭს, რაც მსაჯს გამოეპარა, მაგრამ „ინტერის" ხელმძღვანელობისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

## ელცო — „ბენფიკაში"

ბრაზილიის ნაკრების ცნობილი ფეხბურთელი ელცო, რომელიც აქამდე „ატლეტიკო-მინეიროში" გამოდიოდა, ახლახან პორტუგალიის ჩემპიონატის ლიდერის ლისაბონის „ბენფიკაში" გადავიდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვირას ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდა გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის მოყვარულთა მასობრივი ღონისძიებები

(ალექსანდრე კოტორაშვილის, თემურ ჯავახიძისა და რაულ [illegible] ფოტოები).



თბილისი. სამედიცინო ინსტიტუტი.



ქუთაისი: კროსი ქალაქის ქუჩებში.



რუსთავი. ერთ-ერთი შეჯიბრების დროს.

### მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში

## ფინალისტები

**ვენა.** დამთავრდა ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეტაპი. წინასწარი შეჯიბრებების ბოლო ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა შვეციის გუნდი დაამარცხა — 4:2, ჩეხოსლოვაკიამ — გფრ —5:2, აშშ-მ — შვეიცარია — 6:3, კანადამ — ფინეთი — 7:2.

პირველ ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციისა და კანადის გუნდებმა მოიპოვეს. მსოფლიო ჩემპიონატის საპრიზო ადგილებს სწორედ ეს კოლექტივები გაითამაშებენ.

მეორე ფინალური ჯგუფი ფინეთის, აშშ-ს, გფრ-ისა და შვეიცარიის კოლექტივებმა შექმნეს. აქ ბოლო ადგილზე გასული გუნდი სტოვებს უმაღლეს ლიგას, მის ადგილს კი „ბ" ჯგუფში გამარჯვებული პოლონეთი დაიკავებს.

სსრ კავშირის ჰოკეისტთა თამაშების განრიგი ფინალში ასეთია: 29 აპრილს — კანადასთან, 1 მაისს — შვეციასთან და 3 მაისს — ჩეხოსლოვაკიასთან.

## ლაურეატები

დასასრული

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში კუბელმა რიტა პიჩარდომ და იოჰანეს მონტესინომ დაამარცხეს დასავლეთგერმანელები პეტრა ბაუერი და სიბილა ბაუერმანი (6:2, 6:4), ხოლო ჭაბუკთა დავაში თბილისელმა დავით კვარაცხელიამ და მინსკელმა ანდრეი სემეცმა სძლიეს რობერტო როდრიგესსა და დუვიელ მედინას (კუბა) — 6:4, 6:3.

ერთეულთა ფინალები საბჭოთა ჩოგბურთელების მონაწილეობით ჩატარდა. გოგონათა პაექრობაში 18 წლის სპორტის ოსტატმა ელენა კისლუხამ (მწვრთნელი ოლგა ბაბიი) დიდი უპირატესობით მოუგო მოსკოველ ანა მირზას — 6:1, 6:1. აღსანიშნავია, რომ კისლუხას ორივე პარტია ანგარიშით 4:0 მიჰყავდა. მესამე ადგილზე გავიდა რუმინელი მონიკა პეჩეანუ, რომელმაც მოუგო რიგელ უნა ბუშევიცას — 6:4, 6:1.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჭაბუკ ერთეულთა ფინალმა, რომელიც კვირას გაიმართა. უფელი ანდრეი ჩერკასოვი და თბილისელი დათო კაპარავა მერვედ შეხვდნენ ერთმანეთს. მანამდე 5 შეხვედრა ქართველმა ჩოგბურთელმა მოიგო, ორი — მისმა მეტოქემ.



ანდრეი ჩესნოკოვი



დავით კაპარავა

უნდა ითქვას, რომ ამ დღეს უფელი ჩოგბურთელი აშკარად სჯობნიდა მასპინძელს, რაც ანგარიშშიც გამოიხატა — 6:1, 6:0 ჩერკასოვის სასარგებლოდ. ანდრეი განსაკუთრებით კარგად თამაშობდა უკანა ხაზიდან, ძირითადად სწორედ ამან განაპირობა მისი წარმატება.

— უკანა ხაზზე ანდრეის მართლაც ბადალი არა ჰყავს — გვითხრა დათომ თამაშის დამთავრების შემდეგ. ორი დღე წვიმდა, თამაშები დახურულ კორტებზე გადაიტანეს და მეც, სწორედ „მაგარ" კორტზე თამაშისათვის განვეწყვე. საერთოდ იქ უკეთ ვთამაშობ, აქ კი კორტი წვიმისაგან დარბილებული იყო, ქარიც მიშლიდა ხელს. მაგრამ რაც მართალია, მართალია, ჩერკასოვმა დამჯაბნა და მეც გულწრფელად ვულოცავ ჩემს მეგობარს და მის მწვრთნელს ნატალია როგოვას გამარჯვებას.

დაძაბული ბრძოლა გაიმართა მესამე ადგილისათვის, რომელსაც გულშემატკივრებმა „ჩეხოსლოვაკური მატჩი" უწოდეს. ტომაშ ზრდაჟილამ პირველ პარტიაში შედარებით ადვილად მოუგო თანამემამულე მარეკ მიშკოლცის (6:2), მეორე პარტიაში კი გაუძნელდა გამარჯვება (7:5).

დასასრულს დავძენთ, რომ ევროპის ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი თბილისიდან უზბეკეთის დედაქალაქში გადაინაცვლებს.

**ოთარ ოთარაშვილი.**

## უდავო წინსვლის მიუხედავად

დასასრული

სტუმრები ყველაფერს თითქოს უფრო მოხდენილად, სწრაფად, დროულად აკეთებენ. მეტოქეთა ოსტატობაში არსებული სხვაობა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო შეხვედრის გადამწყვეტ მომენტებში, რომლებიც სტუმრების აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა.

ამ მატჩში რუმინელებს ჰყავდათ ორი ლიდერი, ორი ვეტერანი ნახევარმცველი, რომლებიც ნაკრების ახალმა მწვრთნელმა მიხაი ნაკამ კვლავ დააბრუნა გუნდში — მირჩა პარასკივი (9) და დუმიტრუ ალექსანდრუ (10). ამ წყვილმა აშკარად დაჯაბნა ჩვენი ნახევარდაცვა, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი გამოდგა. ჩვენი მორკინალები შერკინებისას და აუტის მოწოდებისას ტოლს არ უდებდნენ მეტოქეს, მაგრამ ნახევარმცველთა მიერ წამოწყებული შეტევების გაგრძელებისას აშკარად ჩამოუვარდებოდნენ სტუმრებს. ამიტომ რუმინელებს იერიშები უფრო მწყობრი გამოსდიოდათ. შეფირხების შემთხვევაში სტუმრები უფრო აქტიურობდნენ, ბურთთან მისვლას ასწრებდნენ ჩვენებს, მეტ გაწაფულობასაც იჩენდნენ და შერკინებაც მათ სასარგებლოდ ინიშნებოდა. რაც შეეხება ალექსანდრუს, მან არა მარტო შეაგდო ორი საჯარიმო და გადამწყვეტი არეკნი, არამედ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში შუა სამმეოთხედელებისკენ ფეხით ბურთს ოსტატურად გზავნიდა და ისინიც შავ დღეში აგდებდნენ ჩვენი ნაკრების უკანა ხაზს, სადაც, ყველასათვის მოულოდნელად, სუსტად ითამაშეს სლიუსარმა და მირონოვმა — მოთამაშეებმა, ვისაც, საერთო აზრით, ლიდერის ფუნქცია უნდა ეკისრათ. სამწუხაროდ, ამ სახელმოხვეჭილმა რეგბისტებმა არათუ გუნდის გაძღოლას, თავიანთ უშუალო მოვალეობასაც კი ვერ გაართვეს თავი. სტუმრებმა ლელო სწორედ ჩვენების მარცხენა ფრთაზე გაიტანეს. მირონოვის კიდევ ორი შეცდომა კინაღამ ძვირად დაუჯდა ჩვენს ნაკრებს, სლიუსარმა კი თავი მხოლოდ იმით „გამოიჩინა", რომ ხელსაყრელი პოზიციებიდან ორჯერ (მეორედ — ბოლოსწინა წუთზე) არეკნით დარტყმა მოისურვა, მაგრამ მიწას ძლივს ააცილა ბურთი (!). ვერც სამმეოთხედელებმა ივარგეს შეტევაში, თუმცა რა უნდა ექნათ, როცა იმავე სლიუსარის „წყალობით" ნეჩაევამდე სულ ორჯერ ჩააღწია ბურთმა.



ერთადერთი, ვინც ამ დღეს საბჭოთა ნაკრებში თავი გამოიჩინა, ნუგზარ ძაგნიძე იყო. მან თავისი დებიუტი 47, 45 და 40 მეტრიდან დიდებულად შეგდებული სამი საჯარიმოთი აღნიშნა. მანვე შორი ოსტატური დარტყმებით თამაში ბევრჯერ გადაიტანა რუმინელთა კარის ხაზის სიახლოვეს, სადაც ჩვენმა ნაკრებმა სხვა გზით მხოლოდ სამჯერ მიაღწია.

**ზაალ გიგინეიშვილი.**

## საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება რეგბიში

**თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 26 აპრილი.**

**„ლოკომოტივი" (თბილისი) — „სლავა" (მოსკოვი) 0:10 (0:4).**

**„ლოკომოტივი": ი. ლეჟავა; ა. ხვედელიძე, კლდიაშვილი, მარჯანიშვილი, მეტრეველი; ჩიქვინიძე (ძაგნელი, 55), ჰეიშვილი; შუბითიძე, კაკაბაძე, ბაკურაძე, ხუადე, კაშია, ბებიაშვილი, გიუნაშვილი, ბასილაშვილი.**

**„სლავა": ბერზინი; შიშკოვი, ერმაკოვი, კალიხტრატოვი (ბოლონკინი, 41), იგნატიევი; პარშინი, დემიდოვი (კოპილოვი, 78); კროჩკინი, მედეკშა, მედვედი, კოროტაევი (მალიშევი, 60), კონფეტოვი, ლიხოჟი, ბარინოვი, ფედორკოვი.**

**მსაჯი პაულ ხუარე (რუმინეთი).**

**გოლები: დემიდოვი (16, დამიწება), პარშინი (46, დამიწება), ბერზინი (47, რეალიზაცია).**

ცნობილია, რომ დროის მცირე მონაკვეთში ერთი და იმავე მეტოქის ორჯერ დამარცხება ძალიან ძნელია. თბილისელებმა მოსკოველებს 18 დღის წინ მოუგეს, მაგრამ ამჯერად მასპინძლებმა, რომლებიც ჩემპიონატში გამოცხადებულმა შესვენებამ ერთგვარად ამოაგდო კალაპოტიდან, კარგად ვერ ითამაშეს და თასისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ.

პირველი ტაიმი უფერული გამოდგა — ძლიერი ქარი გუნდებს თამაშის საშუალებას არ აძლევდა. მე-16 წუთზე სტუმრებმა მეტოქეთა დაცვის მარჯვენა ფრთის უხეში შეცდომით ისარგებლეს და დაწინაურდნენ, ამაში ბრალი ჩვენს მორკინალებსაც მიუძღოდათ. საერთოდ, ამ დღეს ჩვენები მეტოქეთა ძირს დაცემას და შებოჭვას ვერ ახერხებდნენ, ვერც სამმეოთხედელთა ხაზი ახშობდა სტუმრების იერიშებს.

შესვენების შემდეგ თამაში ბევრად უფრო შინაარსიანი გახდა: თბილისელები უფრო ლაღად ამოქმედდნენ, ბურთიც არაერთხელ გაათამაშეს ხელით, მაგრამ შეცდომებიც მრავლად მოსდიოდათ. თამაშის ბოლოს, როცა იგრძნეს, რომ წაგება არ ასცდებოდათ, ლელოს გატანა მოისურვეს და ხელსაყრელ პოზიციაში დანიშნული ორი საჯარიმო კარში დარტყმის ნაცვლად უხეიროდ გაითამაშეს.

●●●

კვირას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე თბილისის „შევარდენი" დამარცხდა მონინოს სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდთან (0:10) და თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

## ისევ პირველი

**როგორც** იცით, ბრიუსელში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 8,5-8,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა და იუგოსლაველმა დიდოსტატმა ლიუბომირ ლიუბოევიჩმა. ისიც იცით, რომ 7 ქულით მესამე შედეგი ჰქონდა მსოფლიოს ექსჩემპიონს ანატოლი კარპოვს.

ბოლო, XI ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: კორჩნოი-მიულდერსი — 1:0, ტიმანი-ვან დერ ვილი — 0,5:0,5, შორტი-ლარსენი — 0:1, ტორე-ვინანტსი — 0,5:0,5.

ამრიგად, დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა IV-V. იან ტიმანი (ჰოლანდია), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 6,5-6,5, VI. მიხეილ ტალი — 6, VII. ბენტ ლარსენი (დანია) — 5,5, VIII-IX. ეუგენიო ტორე (ფილიპინები), ჯონ ვან დერ ვილი (ჰოლანდია) — 5-5, X. ლუი ვინანტსი (ბელგია) — 3,5, XI. ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — 3, XIII. რიშარ მიულდერსი (ბელგია) — 1.

მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. კვირას იქვე გაიმართა დიდი საერთაშორისო ორწრიანი ბლიც-ტურნირი, რომელშიც 14 უძლიერესმა დიდოსტატმა მიიღო მონაწილეობა. ჟურნალისტებმა ამ შეჯიბრებას „ბლიცში" პირველი მსოფლიო პირველობაც კი უწოდეს. საინტერესოა, რომ მსოფლიო ჩემპიონი ბლიც-ტურნირშიც უძლიერესი იყო — 22 შესაძლებლიდან 17 ქულა მოაგროვა და ამის შემდეგ ე. წ. სუპერფინალში შეხვდა „ბლიცში" II ადგილზე გასულ ჰოლანდიელ დიდოსტატს იან ტიმანს, რომელსაც მიკრო-მატჩში ანგარიშით 1,5:0,5 მოუგო. ანატოლი კარპოვი ამ შეჯიბრებაშიც მესამე იყო.

**ბუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-17 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 4 (კრივი), 10 (წყალბურთი), 11 (ფრენბურთი), 29 (სასტენდო სროლა), 33 (ფეხბურთი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 12 (ტანვარჯიში), 19 (სათხილამურო რბოლები), 22 (წყალში ხტომა), 24 (ხელბურთი).

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096. თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები: სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, წერილების განყოფილება — 93-97-55, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06895